

ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი - 080555

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერალი საშემსრულებლო მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროფესიაა. ამ პროფესიაზე თანამედროვე საზოგადოებაში მაღალი მოთხოვნაა, ვინაიდან პროფესიონალი მომღერლების მონაწილეობაზე ანსამბლებსა და საგუნდო კოლექტივებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კოლექტივების საშემსრულებლო დონე. პროფესიონალი მომღერალი კარგად იცნობს საკუთარი სახმო აპარატის შესაძლებლობებს, შეუძლია თავისი შესრულების გაკონტროლება, ანსამბლური მუსიცირება, აქვს მკაფიო სასცენო მეტყველება, შეუძლია ფორტეპიანოზე დაკვრა (საკუთარი შესრულების თანხლებაც), უცნობი მელოდიის ფურცლიდან სოლოფეჯირება, სხვადასხვა ეპოქის და ჟანრის მუსიკალური ნაწარმოების დამოუკიდებლად მომზადება; როგორც სოლო, ასევე ანსამბლსა და პროფესიულ საგუნდო კოლექტივში სიმღერა.

II. დასაქმების სფერო

ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სამუსიკო ან ფართოპროფილიან ხელოვნების ცენტრებში, სტუდიებში, ვოკალურ ანსამბლებსა და პროფესიულ საგუნდო კოლექტივებში.

III. დამატებითი მოთხოვნები:

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- შემოქმედებითი ტურების გავლა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია (მეხუთე საფეხური). შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დადასტურებული ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას.

V. ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>ანსამბლისა და გუნდის მომღერლის საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული ჩვევების ფლობა იმ ფარგლებში, რომელიც აუცილებია პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის.; ფლობს პროფესიული მოღვაწეობისათვის საჭირო სამუსიკო კურსების ზოგად საფუძვლებს.</p> <p>ფლობს სახმო აპარატს იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის, იცნობს ვოკალურ რეპერტუარს, აქვს გუნდში სიმღერისა და ანსამბლური მუსიციერების ცოდნა, აქვს გამართული სასცენო მეტყველება; აქვს მუსიკალური ნაწარმოების შენაარსის, კომპოზიციური აღნაგობის მუსიკალური ფაქტურის სპეციფიკის, პოეტური ტექსტის, სიტყვისა და მუსიკის ურთიერთკავშირის, სოლისტის პარტიის თავისებურებების გახსნის უნარი.</p> <p>აქვს პროფესიული აზროვნების ისეთი დონე, რომელიც საკონცერტო შესრულების დროს უზრუნველყოფს კრეატიულ გადაწყვეტილებებს, საანსამბლო წონასწორობის მიღწევას; აქვს მუსიკალური ენის სტრუქტურის, ჰარმონიის საფუძვლებისა და ფორმაქმნადობის პრინციპების ცოდნა; აქვს მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის, მუსიკალური ჟანრების, ძირითადი სტილური მიმართულებების, ეროვნული ტრადიციების თავისებურებების, ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიების ცოდნა.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია პროფესიულ დონეზე სხვადასხვა სტილისა და ეპოქის მუსიკის შესრულება როგორც სოლო, ასევე ანსამბლში; აქვს როგორც სოლო, ასევე ანსამბლსა და პროფესიულ საგუნდო კოლექტივში რეპეტიციისა და საკონცერტო გამოსვლის პრაქტიკული ჩვევები; იყენებს პროფესიული მოღვაწეობის სფეროს შესაბამის სპეციალურ ლიტერატურას, პროფესიულ ტერმინოლოგიას;</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>აქვს პროფესიული საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი; აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი; შეუძლია საკუთარი და სხვისი მოღვაწეობის შეფასება; აქვს პრაქტიკული პრობლემების ანალიზისა და მათი გადაწყვეტის უნარი;</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის</p>	<p>აქვს შემოქმედებით კოლექტივში მუშაობის უნარი; შეუძლია ანსამბლის ან საგუნდო კოლექტივის სხვადასხვა ასაკის, შემოქმედებითი ნიჭის, ხასიათის პარტნიორთან ურთიერთდახმარებისა და ურთიერთგაგების საფუძველზე თანამშრომლობა; მზად არის ღია კონტაქტებისათვის</p>

	<p>გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>კოლეგებთან, პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს, შეუძლია პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებული (რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერთი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას; აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად; ფლობს უცხო ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის. შეუძლია მცირე შემოქმედებითი კოლექტივის (ანსამბლის, დუეტის და ა.შ). მუშაობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>აქვს პროფესიული სფეროს შესაბამისი ცოდნის დაუფლების უნარი; აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი, აქვს საკუთარი სწავლის სხვადასხვა მიმართულებით ორგანიზაციის უნარი; შეუძლია ვოკალური შემსრულებლობის სფეროში კარიერული წინსვლის მიზნით სწავლის სამომავლო მიმართულებების განსაზღვრა და დაგეგმვა;</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<p>გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა; ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პარტნიორებთან და კოლექტივთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი და საკუთარი პროფესიისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს უზიარებს კოლეგებს; აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;</p>